

ინფორმაცია

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში INTOSAI-ს გარემოს დაცვის აუდიტის სამუშაო ჯგუფის მე-13 შეხვედრის შესახებ

2010 წლის 7-11 ივნისს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქ. გუილინში გამართულ, გარემოს დაცვის საკითხებზე მომუშავე ჯგუფის მე-13 შეხვედრის მუშაობაში მონაწილეობა საქართველოს კონტროლის პალატის წარმომადგენელმაც მიიღო.

WGEA (working group on environmental audit) ანუ გარემოს დაცვის საკითხების სამუშაო ჯგუფი INTOSAI-ს სამუშაო ჯგუფებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია და მასში ამჟამად 71 ქვეყანაა გაწევრიანებული. სამუშაო ჯგუფის ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად 2009 წლის იანვარში ახალი დოკუმენტი იქნა მიღებული, რომელიც არეგულირებს სამუშაო ჯგუფის წევრთა, სამდივნოს, რეგიონალური სამუშაო ჯგუფებისა და ა.შ. უფლება-მოვალეობებს.

2007 წლის ნოემბერში, ესტონეთის უმაღლესი აუდიტორული ორგანო, გარემოს დაცვის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარედ 2013 წლამდე იქნა არჩეული. INTOSAI WGEA საქმიანობას წარმართავს საკუთარი სახელმძღვანელოსა და სტრატეგიული გეგმის მიხედვით .

2011-2013 წლებში INTOSAI WGEA -ს მიზნებია:

1. განავრცოს იმ სახელმძღვანელო მასალების გამოცემა, რომლებიც განკუთვნილია უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტებისათვის;
2. ხელი შეუწყოს თანმხვედრი, ერთობლივი და კოორდინირებული აუდიტების ჩატარებას;
3. ხელი შეუწყოს ინფორმაციის გავრცელებას, გაცვლასა და ტრენინგს;
4. ხელი შეუწყოს გარე ორგანიზაციებთან კოოპერაციას;
5. უზრუნველყოს სამუშაო ჯგუფის ეფექტიანი მართვა.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად სპეციფიკური ქმედებებია საჭირო: ზოგიერთ უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუტს უნდა აეღო მოცემული თემის კოორდინაციის ვალდებულება. მათ უნდა შეედგინათ სამუშაო გეგმა, პროგრესის რეპორტი, მმართველ კომიტეტთან და სამუშაო ჯგუფის წევრებთან კომუნიკაცია და ა.შ. ყოველი პროექტის ლიდერი თავის მხრივ იღებს საჭირო მხარდაჭერას ქვეკომიტეტისაგან. ქვეკომიტეტის წევრებს ევალებათ გაეცნონ და მოსაზრებები გამოთქვან ძირითად სამუშაო დოკუმენტებზე და ასევე, პროექტის ლიდერთან შეთანხმებით, შეასრულონ ამა თუ იმ სახის სამუშაო (ჩაატარონ კვლევა ან შექმნან ესა თუ ის წერილობითი დოკუმენტი). სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე უძღვება ზოგადად მენეჯმენტის პროცესს და პროექტების წარმართვის მიზნით ადგენს სამუშაოს ჩატარების გრაფიკს. WGEA-ს მმართველი კომიტეტი (Steering Committee) ზედამხედველობს ყველა პროექტის მიმდინარეობას.

INTOSAI WGEA-ს 2011-2013 წლების სამუშაო გეგმის შესაბამისად, მისი ერთ-ერთი პრიორიტეტია არსებული სახელმძღვანელო მატერიალების განახლება და ახალი დოკუმენტების შექმნა. აღნიშნულის თანახმად, შექმნილია 5 სამუშაო ჯგუფი, რომლებიც კონკრეტული უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტის ხელმძღვანელობით მუშაობენ პრობლემატურ საკითხებზე და WGEA-ს ნებისმიერ წევრს საშუალება აქვს საკუთარი საჭიროებისა და დაინტერესების მიხედვით გაწევრიანდეს ნებისმიერ ჯგუფში, სადაც მას საშუალება მიეცემა ითანამშრომლოს და გამოცდილება და ცოდნა გაცვალოს სხვა უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუტებთან. ამჟამად INTOSAI WGEA -ს მიმდინარე სამუშაო თემებია:

1. მიწის გამოყენებაზე/მიწის მენეჯმენტის პრაქტიკაზე კვლევის ჩატარება.

- არასწორი დაგეგმვით გამოწვეული საფრთხეები - მაგალითად: ტყის ფართობის შემცირება, გაუდაბნობა, დეგრადაცია და ა.შ.
- მიწის მენეჯმენტის პრაქტიკის მაგალითები, რომლებიც გარემოს დაბინძურებას იწვევს - მმართველობა, ფინანსური მექანიზმები და ა.შ.
- მიწის „მწვანე“ დაგეგმარება, საქალაქო დაგეგმარება, საერთაშორისო შეთანხმებები და ა.შ.

2. კვლევის პროექტი გარემოს დაცვის საკითხებზე მონაცემთა ბაზის შესახებ.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აუდიტის განხორციელებისას, აუდიტორები აწყდებიან იმ ადეკვატური ინფორმაციის მოპოვების პრობლემას, რომელიც გარემოს მდგომარეობას, დამბინძურებელთა სტატისტიკას, გარემოზე ზემოქმედების ტენდენციებსა და მსგავს მონაცემებს ეხება. აღნიშნული კვლევის საფუძველზე მომზადდება რჩევები და ზოგადი მაგალითები, თუ როგორ და სად უნდა ვიპოვოთ ჩვენთვის საჭირო მონაცემები (ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით) და რომელია უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების მიერ ასეთი ინფორმაციის მოპოვების ყველაზე ინოვაციური მეთოდები.

3. კვლევა მდგრადი (sustainable development) განვითარებისა და გარემოს დაცვის რეპორტირების შესახებ.

- გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების, როგორც ჩვეულებრივი ფინანსური რეპორტირების ნაწილის განვითარების მიმდინარე და მომავალი ტენდენციები;
- ასეთი რეპორტების აუდიტის პრაქტიკა.

4. კვლევა ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ გარემოსდაცვით საკითხებზე.

- გარემოსდაცვისა და მდგრადი განვითარების საკითხები, რომლებიც ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებთანაა დაკავშირებული - მშენებლობის, გამოყენებისა და დემონტაჟის ეტაპებზე;

- კარგი და ცუდი მენეჯმენტის პრაქტიკის მაგალითები, რომლებიც მოიცავს კერძო და საჯარო სექტორის თანამშრომლობას, სასიცოცხლო ციკლის ანალიზს, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, სოციალური და ეკონომიკური ეფექტების ანალიზი და ა.შ.
- აუდიტის მაგალითები INTOSAI WGEA-ს წევრი - ქვეყნებიდან.

5. ღიაა შეთავაზებებისათვის.

კვლევითი პროექტების გარდა, მიმდინარეობს 2 სახელმძღვანელო დოკუმენტის განახლება და მომზადება. უნდა განახლდეს 2004 წლის სახელმძღვანელოს - „წყლის საკითხების აუდიტი: უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების მაგალითი“ და მომზადდეს ახალი სახელმძღვანელო დოკუმენტი - „თაღლითობა და კორუფცია გარემოს დაცვის აუდიტისას“.

სამუშაო ჯგუფები ღიაა პროექტში ჩართვის ნებისმიერი მსურველისათვის მ.წ. ივლისის ბოლომდე, რის შესახებაც უნდა ეცნობოს WGEA-ს თავმჯდომარე ქვეყნის ანუ ესტონეთის უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუტს.

რეგიონალური თანამშრომლობის გაძლიერებისაკენ მიმართულ შეხვედრაზე EUROSAI WGEA-ს წევრებმა ერთმანეთს გააცნეს ის საერთაშორისო პროექტები, რომლებშიც მათი აუდიტორული ინსტიტუტები არიან ჩაბმულნი. შეხვედრის მონაწილეები გაეცნენ საქართველოში გარემოს დაცვის აუდიტის კუთხით მიმდინარე ცვლილებებს. ინფორმაცია საქართველოს მიერ შავი ზღვის დაბინძურების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების კოორდინირებულ აუდიტში ჩართვის შესახებ, გამოქვეყნდა EUROSAI newsletter -ში.

რაც შეეხება პრეზენტაციებს, აღნიშვნის ღირსია ინდონეზიის უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი აუდიტის სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც სატყეო მეურნეობასა და მასთან დაკავშირებული აუდიტის საკითხების კვლევას ეხებოდა. მათ მიერ წარმოდგენილი აუდიტის კითხვათა მატრიცა მნიშვნელოვანი ხელსაწყოა, რათა განისაზღვროს აუდიტის თემა, ქვე-თემა, შეკითხვა და ქვე-შეკითხვა. ასევე საინტერესოა გარემოს დაცვის საკითხების აუდიტისას GIS-ის (geographic information system) გამოყენება.

GIS განმარტებულია როგორც ინფორმაციული სისტემა, რომელიც გამოიყენება მონაცემთა შეტანის, შენახვის, მოპოვების, დამუშავების, ანალიზისა და წარმოებისათვის გეოგრაფიული ან გეოსივცული ფორმით, რომელიც ხელს უწყობს სწორი გადაწყვეტილებების მიღებას დაგეგმვის, მენეჯმენტის, ბუნებრივი რესურსების, ტრანსპორტირებისა და ა.შ. სფეროებში. თავად სისტემა 5 კომპონენტისაგან შედგება:

- მოწყობილობა;
- პროგრამული უზრუნველყოფა;
- მონაცემები;

- მეთოდოლოგია;
- ადამიანები.

აღნიშნულ სისტემას შეუძლია განსაზღვრული მონაცემებით შექმნას სივრცული მაღალი ხარისხის რუკები, რაც შესაძლებელს გახდის ჩატარდეს დიდი გეოგრაფიული ტერიტორიების მონიტორინგი და მისი გამოყენება როგორც დაგეგმვის, ისე რეპორტირების ეტაპზე.

ზოგადად, INTOSAI WGEA-სა და სხვა საერთაშორისო (IDI-international development initiative) თუ რეგიონალურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, მათ მიერ მომზადებული სახელმძღვანელო მასალების გამოყენება, აგრეთვე, სხვადასხვა განვითარებისა და დისტანციურ ტრენინგებში აქტიური მონაწილეობა, მნიშვნელოვნად დაეხმარება საქართველოს კონტროლის პალატას გარემოს დაცვის აუდიტის პრაქტიკაში დანერგვასა და ორგანიზაციული შესაძლებლობების გაღრმავებაში.